განკარგულება:**გ-37.37211824**
თარიღი:**01/07/2021**

განკარგულება № 35

ქ.ოზურგეთი 1 ივლისი 2021 წელი

ა.გრიბოდეოვის ქ. N20-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ჯუმბერ დუნდუას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე ოზურგეთის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართულ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „გურია“-ს, ქალაქ ოზურგეთში, ა. გრიბოედევის ქ. N20-ში მდებარე, საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ჯუმბერ დუნდუას მემორიალური დაფა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი